

„ცივი ომის“ შემდგომი სამყარო - თეორიები მომავალი მსოფლიო წესრიგის შესახებ.

იდეოლოგიური ნიშნით დაყოფილი სამყაროს დასასრული. რა იქნება მომავალში - ისტორიის დასასრული, ცივილიზაციათა შეჯახება თუ რეალპოლიტიკა?

პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოები მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგანან დღესაც. ეს გამოწვევები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი პრობლემებით: სახელმწიფოები წარმოიქმნენ მაშინ, როდესაც მათ ადრე არ ჰყავდათ სუვერენული ხელისუფლება; ახალი რეგიონული ბლოკები და ალიანსები ჩამოყალიბდნენ ცივი ომის შემდგომი პერიოდის გეოპოლიტიკურად ცვალებად სამყაროში; ნაციის მშენებლები ახალი სამოქალაქო პოლიტიკის შექმნას ესწრაფიან, თუმცა მათი ეს პროექტები პოლიტიკურ დამაბულობებს და არა მშვიდობიან თანაარსებობას იწვევს; სახელმწიფოები, რომლებიც ცდილობენ მათი ეკონომიკების გადაწყობას დასავლურ ნეოლიბერალურ საბაზრო გაცვლის მოდელზე, ვერ ახერხებენ პროცესის პოლიტიკურ წარმართვას გლობალური ეკონომიკის პირობებში (გვ. 1).¹

პირველ რიგში, პოსტ-საბჭოთა ტრანზიცია არ უნდა იქნეს გაგებული როგორც წინასწარ დაგეგმილი პროცესი, თითქოს არსებობს რაღაც გარდაუვალი მომავალი, საითკენაც პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოები მიდიან. ამ ტიპის ყველაზე ცნობილი იდეაა სმიტის მიერ შემოთავაზებული *ტრიუმფალური თეორია*. მისი თეორიის თანახმად, ცივი ომის დასრულება წარმოადგენდა არა მარტო დასავლური ლიბერალური დემოკრატიის და კაპიტალიზმის გამარჯვებას სახელმწიფო სოციალიზმზე, არამედ გულისხმობდა იმას, რომ ერთადერთ კურსს, რომელსაც პოსტ-საბჭოთა სახელმწიფო სოციალიზმი უნდა დადგომოდა, დასავლური პოლიტიკური ფასეულობების და ეკონომიკური სისტემის ათვისება წარმოადგენდა (გვ. 2). ტრანზიციის თეორეტიზაციის კონტექსტში, პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოების წარსული ვერ იქნება იგნორირებული, ისევე როგორც ვერ უვარყოფთ იმ შესაძლებლობას, რომ წარსულთან გამოიჯვანა ვერ იქნება უცაბედი და ისეთი ტრანსფორმირებადი, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. ამგვარად, ტრანზიციის პროცესში მყოფი პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოების ანალიტიკურად წინასწარგამიზნულად და გაუაზრებლად ისეთ ტერმინებით მოხსენიება, როგორცაა ტოტალიტარული მმართველობა, სახელმწიფო კაპიტალიზმი თუ სახელმწიფო სოციალიზმი, მათთვის გარკვეული მნიშვნელობის და მიზნის მინიჭების გარეშე, არა მარტო ხელუხლებელს ტოვებს ამ პროცესის მრავალ ასპექტს, არამედ ჩიხში გვაქცევს შესასწავლი ფენომენის ზუსტი ბუნების დადგენის პროცესში (გვ. 3). არც ერთი ტრანზიცია, როგორც რადიკალური არ უნდა იყოს ის, მთლიანად ვერ სპობს წარსულს: მეხსიერება, კულტურული ფასეულობები და თვით პოლიტიკური ინსტიტუტები ერთ ღამეში ვერ წაიშლება პოლიტიკური ლანდშაფტიდან (გვ. 3). და ბოლოს, პოსტ-საბჭოთა ტრანზიცია არ შეიძლება ადექვატურად იქნეს გააზრებული თუ ანალიზის პროცესში გავაცალკევებთ „საშინაო“ და „საერთაშორისო“ პროცესებს და მოვლენებს. სოვეტოლოგიის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენდა ამ ორი

¹Smith, G. (1999). *The Post-Soviet States – Mapping the Politics of Transition*, Chapter I, Trials of Transition, Oxford University Press Inc.

პროცესის გაორება, რადგან ის მცირე მნიშვნელობას ანიჭებდა გარე პროცესების გავლენას საშინაო პოლიტიკურ მოვლენებზე, ან უმნიშვნელოდ თვლიდა შიგა სოციალურ და პოლიტიკურ ცვლილებებს საგარეო პოლიტიკის პრიზმაში (გვ. 4).

XX საუკუნის უკანასკნელი ათწლეული აღინიშნა მნიშვნელოვანი ცვლილებებით ცივილიზაციათა კვლევის მეთოდოლოგიაში. 2001 წლის 11 სექტემბრის ამბებმა მსოფლიო საზოგადოებრიობა კიდევ ერთხელ დააფიქრა კაცობრიობის მომავალზე, არსებული მსოფლწესრიგის მდგრადობასა და მის პერსპექტივაზე. მეცნიერები თუ პოლიტიკოსები კვლავ მიუბრუნდნენ პრობლემებს, რომლებიც მწვავედ დადგა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს, როცა “ცივი ომის” დასრულებამ ძირეულად შეცვალა საერთაშორისო ვითარება და ახალი რეალობის გააზრების საჭიროება წარმოშვა. მაშინ გაჩნდა ერთ-სახელმწიფოთა ეპოქის აღორძინებისა თუ, სხვადასხვა ფაქტორთა (ტრაიბალიზმი, გლობალიზმი და სხვ.) ზეგავლენით, მისი საბოლოო დასასრულის ნაირგვარი ვერსიები. აზრთა განსაკუთრებული სხვადასხვაობა გამოიწვია წამოჭრილ კითხვებზე პასუხის გაცემის ორმა ყველაზე მნიშვნელოვანმა მცდელობამ, რომლებიც დაკავშირებული იყო ამერიკელი მეცნიერების ფრენსის ფუკუიამასა და სემუელ ჰანტინგტონის სახელებთან.

1992 წ. გამოქვეყნდა ფ.ფუკუიამას წიგნი “ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი”, რომელმაც სათავე დაუდო ინტელექტუალთა დისკუსიას იმის თაობაზე, თუ როგორი იქნება მსოფლიოს მომავალი “ცივი ომის” დასრულებისა და კომუნიზმის იდეოლოგიის მარცხის შემდეგ. ამ ნაშრომში ფუკუიამამ სცადა დაესაბუთებინა, რომ ლიბერალური დემოკრატია ადამიანთა მოდემის იდეოლოგიური ევოლუციის ბოლო საფეხური, მმართველობის უკანასკნელი და უცვლელი ფორმა იქნება, რითაც დასრულდება კიდევ ისტორია. “ისტორიის დასასრულში” ავტორი გულისხმობდა არა ხდომილებათა რიგის, მოვლენათა ქრონოლოგიური თანმიმდევრობის შეწყვეტას, არამედ დასასრულს იმ ისტორიისა, რომელიც გაიზარდა ერთიან ევოლუციურ პროცესად ყველა ხალხისა და ყოველი დროის ერთობლიობაში. ისტორიის დასასრული ნიშნავდა იმას, რომ მომავალში საზოგადოების ამოსავალი პრინციპები თუ ინსტიტუტები აღარ განიცდიდნენ სახეცვლილებას, რადგან უმთავრესი საკითხები მოგვარებული იქნებოდა ლიბერალური დემოკრატის პრინციპების ფარგლებში. ფ.ფუკუიამას აზრით, დღეს ლიბერალური დემოკრატია ერთადერთი გააზრებული პოლიტიკური მიმართულებაა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს დედამიწის სხვადასხვა რეგიონსა და კულტურას. მისმა ეკონომიკურმა პრინციპებმა, ანუ “თავისუფალი ბაზრის” ცნებამ ყველგან გაიკვალა გზა და დოვლათის უჩვეულო სიუხვე შექმნა თვით ე.წ. “მესამე სამყაროს” ქვეყნებშიც კი. ხოლო ლიბერალური რევოლუცია ეკონომიკურ აზროვნებაში მუდამ თან სდევდა, ხან კი წინაც უსწრებდა პოლიტიკური თავისუფლებისაკენ სვლას. შესაბამისად, აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფდა მომავალში ადამიანთა სხვადასხვა საზოგადოების სულ უფრო და უფრო მეტად გაერთგვაროვნებას, მათი კულტურული მემკვიდრეობისა თუ ისტორიული ფესვების მიუხედავად.

ფუკუიამას კონცეფციის ერთგვარ ალტერნატივად მოგვევლინა ს.ჰანტინგტონის მიერ 1993 წელს გამოქვეყნებული სტატია “ცივილიზაციათა შეჯახება?”, რომელსაც მოჰყვა მისი სხვა ნაშრომები და მონოგრაფია “ცივილიზაციათა შეჯახება და მსოფლიო წესრიგის გარდაქმნა.” ს.ჰანტინგტონის აღნიშნულ ნაშრომებს დიდი თეორიული მნიშვნელობა ჰქონდა. მათ უკავშირდება ცივილიზაციათა თეორიის მიმართ ყურადღების გამოცოცხლება. ს.ჰანტინგტონმა, ფაქტობრივად, საფუძველი ჩაუყარა ახალ მიმართულებას გეოპოლიტიკაში, მიიჩნია რა ცივილიზაცია გეოპოლიტიკური ანალიზის მთავარ მიმართულებად. ამ მიმართულებას შეიძლება ცივილიზაციური გეოპოლიტიკა ვუწოდოთ. ს.ჰანტინგტონის თეორიის თანახმად, “ცივი ომის” დამთავრების შემდეგ, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი მსოფლიოს სახეს განსაზღვრავს 7-8 დიდი ცივილიზაციის ურთიერთობის პროცესი. ცივილიზაციური იდენტობა, და არა იდეოლოგია ან ეკონომიკა (როგორც ადრე), საფუძვლად ედება კაცობრიობის გამყოფ უმნიშვნელოვანეს საზღვრებს და იქცევა კონფლიქტების ძირითად წყაროდ მომავალ მსოფლიოში. ცივილიზაციას ჰანტინგტონი განსაზღვრავს როგორც უმაღლესი რანგის კულტურულ ერთობას, ადამიანთა კულტურული იდენტობის ყველაზე ვრცელ დონეს. მომდევნო დონეს შეადგენს უკვე ის, რაც განასხვავებს ადამიანთა მოდემას ცოცხალ არსებათა სხვა სახეობებისაგან. ცივილიზაცია განისაზღვრება ობიექტური ხასიათის სხვადასხვა ნიშნის (ენა, ისტორია, რელიგია, ზნე-ჩვეულებანი, ინსტიტუტები) არსებობით, აგრეთვე ადამიანთა სუბიექტური თვითიდენტიფიკაციით. ს.ჰანტინგტონი მიუთითებს ფაქტორებზე, რომლებმაც განაპირობა ცივილიზაციური იდენტობის როლის ზრდა. მათგან უმთავრესად მიჩნეულია ის, რომ “ცივი ომის” დამთავრებასთან ერთად დასრულდა საერთაშორისო პოლიტიკის განვითარების დასავლური ფაზა; წინ წამოიწია ურთიერთობამ დასავლურ და არადასავლურ ცივილიზაციებს შორის. ეს უკანასკნელნი აღარ კმაყოფილდებიან ისტორიის ობიექტის როლით, რომელსაც ტრადიციულად ასრულებდნენ, არამედ, დასავლეთის მსგავსად, თავად ქმნიან და წარმართავენ საკუთარ ისტორიას. იდეოლოგიის “რკინის ფარდა” კულტურის “ხავერდის ფარდამ” შეცვალა. მეცნიერის დასკვნით, თვალსაწიერ მომავალში არ ჩამოყალიბდება ერთიანი უნივერსალური ცივილიზაცია (თუმცა დასავლეთში ბევრმა ირწმუნა დასავლურ ფასეულობათა უნივერსალურობა და მათ საფუძველზე მსოფლიოს გაერთგვაროვნების პერსპექტივა), თითოეულ ცივილიზაციას მოუწევს სხვებთან თანაარსებობა, და როგორც დღევანდელი გამოცდილება გვიჩვენებს, ყველაზე სისხლისმღვრელი კონფლიქტები სწორედ ცივილიზაციათა გამყოფ მიჯნებზე წარმოიშობა.

მოგვიანებით ფ.ფუკუიამა კვლავ დაუბრუნდა ლიბერალური დემოკრატიის მომავლისა და მსოფლიოს პერსპექტივის პრობლემას. მან, გარკვეულწილად, დააზუსტა ადრინდელი შეხედულება. ამ დაზუსტებაში შეიძლება ს.ჰანტინგტონის თვალსაზრისისა და მის ირგვლივ გამართული კამათის ანარეკლიც დავინახოთ. კერძოდ, ფ.ფუკუიამამ მიიჩნია, რომ ლიბერალურ დემოკრაციას მომავალში უთუოდ გამოუჩნდება მოცილე და სერიოზული მეტოქე, რომელიც სწრაფად იკრებს ძალას და, მოსალოდნელია, მისსავე მოედანზე შეებრძოლოს დემოკრაციას. ესაა პატერნალისტური აზიური ავტორიტარიზმი. ამ

მეტოქეობის სათავე და საფუძველი, ავტორის აზრით, კულტურის დონეზეა საძიებელი. ეს ყველაზე ღრმა დონეა, რომელიც მოიცავს ოჯახის სტრუქტურას, რელიგიას, მორალურ ფასეულობებს, ეთნიკურ ცნობიერებას, “მოქალაქეობრიობასა” და პარტიკულარულ ისტორიულ ტრადიციებს. ფ.ფუკუიამა კულტურას განსაზღვრავს როგორც ტრადიციით მიღებულ ირაციონალურ ეთიკურ ჩვევას. მისი აზრით, სწორედ კულტურამ განაპირობა დემოკრატიული გარდაქმნებისა და ცვლილებების ტემპი, წარმატება თუ წარუმატებლობა ყველა დანარჩენ დონეზე - იდეოლოგიის, ინსტიტუტებისა და სამოქალაქო საზოგადოების დონეებზე. მეცნიერის აზრით, ლიბერალურ დემოკრაციას მთავარი დაბრკოლება სწორედ კულტურის დონეზე შეხვდება და ეს ტრადიციულ აზიურ კულტურებში მოხდება, სადაც, დასავლეთისაგან განსხვავებით, პოლიტიკური ძალაუფლების საყრდენია ფართო მასების მორალური აღზრდა და არა ინსტიტუტები, თუნდაც სწორად აგებული. აზიური საზოგადოება დაფუძნებულია არა ინდივიდის უფლებებზე, არამედ ღრმად დამკვიდრებულ მორალურ კოდექსზე, რომელიც მყარ საძირკველს უქმნის ძლიერ სოციალურ სტრუქტურებსა და საზოგადოებრივ ცხოვრებას; მისთვის ნიშანდობლივია არა ინსტიტუტები, არამედ სოციალური სტრუქტურები და მათი კულტურული შეთანხმებულობა. რადგან ამ კულტურის მატარებელ აზიურ საზოგადოებებს აღმოაჩნდათ თანამედროვე ტექნიკურ სამყაროსთან ადაპტირებისა და ისეთი საზოგადოების შექმნის უნარი, რომლებიც არა მარტო კონკურენციას უწევენ, არამედ ხშირად აღემატებიან კიდევ დასავლეთს, დემოკრატიის იაპონურ-ტაივანურ-კორეული ვერსია, ექვგარეშეა, ფრიად მიმზიდველი აღმოჩნდება და კონკურენციას გაუწევს დასავლურ ლიბერალურ დემოკრაციას, ასკვნის ფ.ფუკუიამა.

ფ.ფუკუიამასა და ს.ჰანთინგტონის კონცეფციებს დისკუსიათა მთელი ტალღა მოჰყვა. მიუხედავად სერიოზული კრიტიკისა და არაერთი მკაცრი შეფასებისა, ამ დისკუსიებმა გამოაცოცხლა ყურადღება ცივილიზაციათა თეორიისადმი და უბიძგა მსოფლიოს ცივილიზაციური ხედვის ახალი ვერსიების ჩამოყალიბებას.

ფრენსის ფუკუიამა



„კულტურული ომები“ და სამოქალაქო საზოგადოება

დემოკრატიას მომავალში უთუოდ გამოუჩნდება მოცილე. რა იქნება მისი მთავარი იდეოლოგიური და პოლიტიკური მეტოქე? ჩემი აზრით, თანამედროვე ვითარებაში, დემოკრატიის ყველაზე სერიოზული მოქიშპე აზიაში გამოვლინდება. ამასთან, მიმაჩნია, რომ იდეოლოგიური დონის მოვლენები სამოქალაქო საზოგადოებისა და კულტურის დონის მოვლენებზე იქნება დამოკიდებული. ნათქვამის არსის ასახსნელად საჭიროდ მიმაჩნია მოკლე მეთოდოლოგიური ექსკურსი.

არსებობს ოთხი დონე, რომელთა საფუძველზეც უნდა მოხდეს დემოკრატიის კონსოლიდაცია. ყოველი ცალკეული დონე მოითხოვს შესაბამის ანალიზს.

I დონე: **იდეოლოგია** - ნორმატიული მრწამსი იმის შესახებ, რამდენად წესიერია დემოკრატიული ინსტიტუტები და მათი მხარდამჭერი საბაზრო სტრუქტურები. ცხადია, დემოკრატიული საზოგადოება ხანგრძლივად ვერ იარსებებს, თუ ხალხს არ ექნა რწმენა, რომ დემოკრატია მმართველობის ლეგიტიმური ფორმაა. მეორე მხრივ, დემოკრატიის ლეგიტიმურობის შესახებ ფართოდ გავრცელებულ რწმენას დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბების ან კონსოლიდაციის უუნარობასთან უხდება თანაარსებობა. პირველ დონეს მიეკუთვნება რაციონალური თვითშეგნების სფერო, სადაც ლეგიტიმურობის აღქმა მოულოდნელ ცვლილებებს განიცდის. დემოკრატიისა და ბაზრისათვის ხელსაყრელი ამგვარი ცვლილებები ბოლო 15 წლის განმავლობაში მთელ მსოფლიოში განხორციელდა.

II დონე: **ინსტიტუტები**. ეს სფერო მოიცავს კონსტიტუციებს, სასამართლო და პარტიულ სისტემებს, საბაზრო სტრუქტურებს და ა.შ. **ინსტიტუტები იდეებივით სწრაფად არ განიცდის ცვლილებებს, მაგრამ მათზე მანიპულირება მაინც არის შესაძლებელი სახელმწიფო პოლიტიკის მეშვეობით**. ეს ის დონეა, რომელსაც მოიცავდა ბოლო წლებში მიმდინარე პოლიტიკური ბრძოლა - ახალი დემოკრატიული სახელმწიფოები, უფრო ასაკოვანი დემოკრატიების ხელშეწყობით, ცდილობდნენ სახელმწიფო საწარმოების პრივატიზებას, ახალი კონსტიტუციების შექმნას, პარტიების კონსოლიდებას და ა.შ. ნეოკლასიკური ეკონომიკის წარმომადგენელთა უმრავლესობა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პოლიტიკოსების მსგავსად, ამ დონის ანალიზს იყენებს საყრდენად.

III დონე: **სამოქალაქო საზოგადოება** სახელმწიფოსაგან გამოცალკევებული და დემოკრატიულ პოლიტიკურ ინსტიტუტებზე დაფუძნებული, სპონტანურად წარმოქმნილი სოციალური სტრუქტურების სამყაროა. ამ სტრუქტურების ფორმირება გაცილებით ნელა მიმდინარეობს, ვიდრე პოლიტიკური ინსტიტუტებისა. **იგი სახელმწიფო პოლიტიკის მხრიდან მანიპულირებასაც ნაკლებად ექვემდებარება**. ახლო წარსულამდე სამოქალაქო საზოგადოების ანალიზი იშვიათად ხდებოდა. დასავლეთში სამოქალაქო საზოგადოებას მოდერნიზაციის აუცილებელ თანამგზავრად მიიჩნევდნენ მაშინ, როდესაც აღმოსავლეთში მარქსისტები მას უარყოფდნენ, როგორც სიცრუეს, მცდარობას. კომუნიზმის ნგრევის შემდეგ კვლავ მოდაში შემოვიდა სამოქალაქო საზოგადოება, ვინაიდან პოსტ-ტოტალიტარული საზოგადოება სოციალური სტრუქტურების განსაკუთრებული დეფიციტით ხასიათდება. ეს სტრუქტურები სტაბილური დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტების აღმოცენების აუცილებელი წინამძღვარია. სამოქალაქო საზოგადოების ანალიზის თვალსაზრისით, ბოლო ოცი წლის განმავლობაში დიდი და საინტერესო სამუშაო ჩატარდა პოლიტოლოგიაში. თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიულ ინსტიტუტებთან მისი ურთიერთობის აღსაწერად შემუშავდა საგანგებო ენა და მდიდარი ტაქსონომია.

IV დონე: **კულტურა**. ეს უღრმესი დონე მოიცავს მოვლენებს, როგორცაა ოჯახის სტრუქტურა, რელიგია, მორალური ღირებულებები, ეთნიკური ცნობიერება, „მოქალაქეობრიობა“ და პარტიკულარული ისტორიული ტრადიციები. დემოკრატიული ინსტიტუტებისათვის საყრდენი ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოებაა, ხოლო თავად სამოქალაქო საზოგადოების წინამძღვარი და წინამორბედი არის კულტურა. კულტურა შეიძლება განისაზღვროს როგორც ტრადიციით მიღებული ირაციონალური ეთიკური ჩვევა. მიუხედავად იმისა, რომ

კულტურა წინა სამ დონეზე მომხდარ მოვლენებს თავადაც ექვემდებარება, იგი მაინც ყველაზე გვიან განიცდის ცვლილებებს. ანალიზის თვალსაზრისით, კულტურა სოციოლოგიისა და ანთროპოლოგიის სფეროა. პოლიტოლოგიის სფეროს მკვლევართა ყურადღების არეალში ბევრად უფრო იშვიათად ექცევა კულტურის დონე და მისი გავლენა სამოქალაქო საზოგადოებაზე, მაშინ, როცა ცალკე სამოქალაქო საზოგადოებას აქტიურად იკვლევენ.

ის, რასაც სამუელ ჰანთინგტონმა დემოკრატიისკენ გარდამავალი „მესამე ტალღა“ უწოდა, მრავალი ნიშნით პირველ დონეს - იდეოლოგიას უკავშირდება. 70-იანი წლების ბოლოს და 80-იან წლებში ლეგიტიმურობის აღქმამ, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ძალიან სწრაფი და სერიოზული ცვლილებები განიცადა. ამან განაპირობა ლათინური ამერიკის ქვეყნებში ხელიფულებაში საბაზრო ორიენტაციის ფინანსთა მინისტრების მოსვლა, ყოფილ კომუნისტურ სამყაროში პროდემოკრატიული მოძრაობების წარმოქმნა და ავტორიტარიზმის მემარცხენე თუ მემარჯვენე მიმდევართა საერთო დემორალიზაცია. იდეოლოგიაში მომხდარმა ამგვარმა ცვლილებებმა ძალიან მნიშვნელოვანი ძვრები გამოიწვია მეორე დონეზე - ინსტიტუტების დონეზე. ამან, თავის მხრივ, სათავე დაუდო დაუსრულებელ დებატებს ისეთ სერიოზულ საკითხებზე, როგორცაა, ვთქვათ, ხელსაყრელი სტრატეგიის ჩამოყალიბება, რომელიც სწორი არჩევანის გარანტი იქნება გრადუალიზმსა და შოკურ თერაპიას, ასევე ცნობილ თეზისებს შორის - „ჯერ ეკონომიკური რეფორმები“ თუ „ჯერ დემოკრატია“. მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუციონალური კონსოლიდაციის პროცესი კარგა ხანს ვერ დასრულდა, ამ დონეზე მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული იმ რეგიონში, სადაც იდეოლოგიური რევოლუციები მოხდა 80-იან წლებში.

მესამე დონეზე, ანუ სამოქალაქო საზოგადოებაში ცვლილებები შეუდარებლად ნელი ტემპით ხორციელდება. აი, აქ ცვლილებათა ტემპი დიდწილად არის დამოკიდებული სწორედ კულტურის დონის მახასიათებლებზე. სამოქალაქო საზოგადოება შედარებით სწრაფად აღორძინდა პოლონეთში, ჩეხეთში, უნგრეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში, სადაც მძლავრი ალტერნატიული ელიტები არსებობდა და როგორც კი შესაძლებლობა გაჩნდა, სწრაფად ჩაანაცვლეს იგი უკვე ყოფილს - კომუნისტურს. ამ ქვეყნებში არც ეკონომიკური კრიზისი გაღრმავდა, იგი აღიკვეთა ჯანსაღი კერძო სექტორის ასპარეზზე გამოსვლისთანავე, რაც შეეხება პოლიტიკურ ცხოვრებას, მან მიზანმიმართულად იწყო განვითარება დასავლურ ყაიდაზე. სამოქალაქო საზოგადოების აღმოცენება ბევრად უფრო რთულად მიმდინარეობდა ბელარუსში, უკრაინასა და რუსეთში. ამ ქვეყნებში ძველი კომუნისტური ელიტები

მყარად იყო შენარჩუნებული და მეტად უმნიშვნელო მოცულობით შეივსო ვაკანსიები ახალი (არცთუ ისე ახალი) ინსტიტუტებით. დასახელებულ მაგალითებს შორის არსებული სხვაობის თვალის გადევნება შეიძლება კულტურულ (მეოთხე) დონემდე. იმ სპეციფიკური მექანიზმების ახსნა, რითაც ურთიერთგავლენას ახდენენ მესამე და მეოთხე დონეები, უნდა იყოს დემოკრატიზაციის პროცესის მკვლევართა ძირითადი ამოცანა.

ბოლო 4-5 წელიწადში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში შეინიშნებოდა „მესამე ტალღის“ ვარდნა, რაც, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამ ოთხ დონეზე განხორციელებული ცვლილებების განსხვავებული ტემპებით იყო განპირობებული. **ზოგან ძალიან სწრაფად მოხდა ცვლილებები იდეოლოგიაში, რაც დიდი იმედის მომცემი იყო სამომავლოდ, მაგრამ სხვა დონეებმა გარკვეული ურჩობა გამოავლინეს და ეს იმედები გაქარწყლდა.** სხვაგან ინსტიტუტების კონსოლიდაციით მიღწეულ ჭეშმარიტ პროგრესს საფრთხე შეუქმნა **მოლოდინსა და რეალობას შორის არსებულმა უფსკრულმა**, ვინაიდან მან ზემოქმედება იწყო ნორმატიულ მრწამსზე - იდეოლოგიაზე, რასაც ეფუძნებოდა დემოკრატიული რევოლუციები.

ლიბერალურ დემოკრატიაში მომავალში **მთავარი დაბრკოლება მესამე, განსაკუთრებით კი მეოთხე დონეზე შეხვდება.** დღეის მდგომარეობით პირველ და მეორე დონეებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობა არ არსებობს: ძნელია შესაძლო იდეოლოგიური მოქიშპის დასახელება, რადგან ძალიან ცოტაა ისეთი ალტერნატიული ინსტიტუტი, რომელსაც რაიმე ენთუზიაზმის გამოწვევა შეეძლოს. მათ შორის კამათი მხოლოდ მარგინალური ხასიათისაა, სადაც განიხილება: ქვეყნის კეთილდღეობისთვის საჭიროა თუ არა სახელმწიფოს უფლებების გაზრდა ან შემცირება; საპრეზიდენტო მმართველობას მიენიჭოს უპირატესობა თუ საპარლამენტოს და ა.შ.

მე კი გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ ინსტიტუტების დონეზე სოციალური ინჟინერია ყრუ კედელს შეასკდა: გასული ასწლეულის გამოცდილება ბევრ დემოკრატიულ ქვეყანას დაანახა, რომ ინსტიტუტების ამბიციური გარდაქმნა უფრო მეტად პრობლემების წარმოქმნას უწყობს ხელს, ვიდრე მათ გადაჭრას. ის რეალური სირთულეები კი, რომლებიც თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოების ცხოვრების დონეზე ახდეს გავლენას, გამოწვეულია სოციალური და კულტურული ნორმებიდან გადახვევით. მათი მოგვარება ინსტიტუციონალური გადაწყვეტილებების შესაძლებლობებს აღემატება. შესაბამისად, აღემატება სახელმწიფო პოლიტიკის შესაძლებლობებსაც.

კულტურის საკითხი სწრაფად მოიწვეს წინა პლანზე.

დემოკრატიის მეტოქენი

დემოკრატიის აღიარებულ მეტოქეთა შორის მხოლოდ ერთია, რომელიც სწრაფად იკრებს ძალას და მოსალოდნელია, მისსავე მოედანზე შეებრძოლოს დემოკრატიას. ეს ერთადერთი სერიოზული მეტოქე არის **პატერნალისტური აზიური ავტორიტარიზმი**. სხვა სავარაუდო და შესაძლო მოქიშპეებად მიიჩნევა: 1. უკიდურესი ნაციონალიზმი ანუ ფაშიზმი; 2. ისლამი; 3. აღორძინებული ნეობოლშევიზმი. ყოველ მათგანს დიდი წინააღმდეგობის დაძლევა მოუწევს, თუ მსოფლიო იდეოლოგიურ მოძრაობად გადაქცევა განიზრახა. თვალშისაცემია ისიც, რომ სამივე მათგანს მეტად განსაზღვრული შესაძლებლობები მოეპოვება თანამედროვე საბუნებისმეტყველო მეცნიერების მოთხოვნებთან ადაპტაციისთვის. ეს იმას ნიშნავს, რომ იძულებული იქნებიან, უარი თქვან ტექნოლოგიურად სრულყოფილ გლობალურ ეკონომიკაში ინეგრაციაზე.

განვიხილოთ ფაშიზმი. ბოლო წლების ეთნიკურმა კონფლიქტებმა და მიგრაციებმა ტრადიციული ლიბერალური პოლიტიკის თეორიის მნიშვნელოვანი ხარვეზები გამოავლინა. ლიბერალური სახელმწიფო მოქალაქეებს განიხილავდა როგორც ინდივიდებს და ანგარიშს არ უწევდა რეალური სამყაროს ხალხთა ჯგუფურ ორიენტაციას. ხალხი კი რატომღაც, ყოველთვის ცდილობს, თავისი თავი, საერთო წარმომავლობის საფუძველზე, სხვა ხალხთან გააიგივოს. ლიბერალურ სახელმწიფოს შეუძლია ამ პრობლემის მოგვარება. ბევრმა ქვეყანამ საჭირო ადგილი დაუთმო იმ ინსტიტუტებს, რომლებიც ეფუძნებოდნენ ჯგუფურ პლურალიზმსა და ინდივიდის უფლებათა პრინციპებზე ორიენტირებულ წრეებს. ხოლო იმ ქვეყნებმა, რომლებიც უკიდურესი ნაციონალიზმის გამოვლინებისკენ არიან მიდრეკილი (მაგ. სერბეთი) ფუნდამენტური ლიბერალური პრინციპი - შემწყნარებლობა - დაარღვიეს და წააგეს კიდეც. იმის გამო, რომ ამ ქვეყნების მოსახლეობა არაერთგვაროვანია, იქ მიზანმიმართულად გახორციელებული ეთნიკური წმენდის ფაქტი იწვევს კონფლიქტებს, ომებს და სახელმწიფოს ეკონომიკის დაქცევას. ამიტომ არაფერია გასაკვირი იმაში, რომ სერბეთი ვერ ჩამოყალიბდა სანიმუშო საზოგადოებად ვერც დასავლეთი და ვერც აღმოსავლეთი ევროპისათვის, თუ არ ჩავთვლით უკმაყოფილო ინდივიდთა რამდენიმე მარგინალურ ჯგუფს რუსეთში, მოლდოვასა და უნგრეთში. მიუხედავად იმისა, რომ დროის უახლოეს მონაკვეთში ეთნიკური კონფლიქტები სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენენ დემოკრატიისთვის, მთელი რიგი არგუმენტები

გვაგვარაუდებინებს, რომ რამდენიმე ხანში ეს საფრთხე ჩაივლის. ასევე შეიძლება ითქვას ისლამური ფუნდამენტალიზმის შესახებაც. მართალია, ამ მიმართულების ტალღა კვლავ მოძრაობს ახლო აღმოსავლეთის მოსახლეობის მარგინალურ ჯგუფებში, მაგრამ ვერც ერთი ფუნდამენტალური სახელმწიფო ვერ აღუდგა წინ ინდუსტრიალიზაციის პროცესს. ბუნებრივი რესურსებით მდიდარმა ქვეყნებმაც კი ვერ მოახერხეს იმ სოციალური პრობლემების ეფექტურად გადაჭრა, რაც მათ ხელისუფლების მოპოვებაში მოეხმარებოდა. უკიდურესად დამაბულია სიტუაცია დღევანდელ ირანშიც. მარტო ეს მაგალითები აალებინებს ხელს ისლამურ ფუნდამენტალიზმზე მათ, ვინც კულტურული ტრადიციებით არ არის დაკავშირებული ისლამთან.

ლიბერალური დემოკრატიის იდეოლოგიურ მეტოქეთაგან ყველაზე ნაკლებსერიოზული კომუნიზმის განახლებული ფორმა ჩანს. ფაქტია, რომ ლიტვაში, პოლონეთში, უნგრეთსა და აღმოსავლეთ გერმანიაში ხელისუფლებაში კვლავ ყოფილი კომუნისტები დაბრუნდნენ, ხოლო დანარჩენ პოსტ კომუნისტურ სივრცეში შეიძლება ითქვას, ძალაუფლება არც გაუშვიათ ხელიდან. მაგრამ ეს ჯგუფები ძირითადად სოციალური დაზღვევის ფართო ქსელის შექმნისთვის იღწვოდნენ და ოდნავ თუ ახერხებდნენ კაპიტალიზმისკენ სვლის ტემპის შენელებას. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ ნეოკომუნისტებს ძირითადად პენსიონერები, ყოფილი კომუნისტური ელიტის წევრები და ძველი სისტემის ერთგული სხვა უმნიშვნელო ჯგუფები უჭერენ მხარს. ნეობოლშევიკთა ეკონომიკური პროგრამაც არ იძლევა ეკონომიკური აღორძინების ხანგრძლივ პერსპექტივას.

ის ფაქტი რომ **ფაშიზმს, ისლამს და ნეობოლშევიზმს არ გააჩნიათ გლობალურ იდეოლოგიად გადაქცევისთვის საჭირო საფუძვლები,** სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ხელს აიღებენ რეგიონულ სფეროში გავრცელებაზე. ამ სივრცეში ისინი დიდ ზიანს მიაყენებენ ადგილობრივ მოსახლეობას იმით, რომ შრომისუნარიანი დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის კონსოლიდირებას შეაფერხებენ, ან სულაც შეუძლებელს გახდიან. მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ რეგიონების მიღმა მოიპოვონ ხელისუფლება, ან თუნდაც მხარდაჭერა.

ერთი სიტყვით, ლიბერალური დემოკრატიის ერთადერთ ახალ, სერიოზულ მოქიშპედ პატერნალური აზიური ავტორიტარიზმი გვევლინება. ცხადია, აზიური ავტორიტარიზმიც ისეთივე რეგიონული მოვლენაა, როგორც ისლამი და ფაშიზმი. ევროპასა თუ ჩრდილოეთ ამერიკაში სერიოზულად არავინ იფიქრებს, კონფუციანობა ეროვნულ იდეოლოგიად გაიხადოს. მაგრამ აზიურმა გამოცდილებამ დასავლეთს

მკაფიოდ დაანახა დასავლური საზოგადოების ნაკლი. ამას ზემოთ ნახსენები დანარჩენი სამი იდეოლოგიიდან ვერც ერთი ვერ შეძლებდა. **მხოლოდ აზიელებს აღმოაჩნდათ თანამედროვე ტექნიკურ სამყაროსთან ადაპტირებისა და ისეთი კაპიტალისტური საზოგადოებების შექმნის უნარი, რომლებიც არა თუ კონკურენციას უწევენ, ხშირ შემთხვევაში აღემატებიან კიდევ დასავლეთს.** ეს გვაპარაუდებინებს, რომ გლობალურ ხელისფულებაში აზიის წილი განუხრელად იზრდება. ამასთან, აზია იდეოლოგიურ ბრძოლაში იწვევს დასავლეთს.

დასავლელი პოლიტიკოსებისაგან ხშირად გაიგონებთ, რომ აზიური „რბილი“ ავტორიტარიზმი შედარებით თავისუფალი ბაზრისა და ძლიერი პოლიტიკური ხელისუფლების (რომელიც ინდივიდის უფლებათა ხარჯზე მხარს უჭერს ჯგუფურ კონსენსუსს) ნაზავია. ასეთი ანალიზი რაღაც თვალსაზრისით სწორია, მაგრამ მხედველობის მიღმა დარჩენილი აზიური საზოგადოების მნიშვნელოვანი თავისებურება. **ტრადიციულ აზიურ კულტურებში პოლიტიკური ძალაუფლების საყრდენი არის ფართო მასების მორალური აღზრდა და არა ინსტიტუტები, თუნდაც სწორად აგებული.** ეს განაპირობებს ფუნდამენტური სოციალური სტრუქტურების შეთანხმებულობას (ამ თვალსაზრისით კონფუციანელთა ორიენტაცია დასავლეთის კლასიკური პოლიტიკური ფილოსოფიის ორიენტაციას მოგვაგონებს). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თანამედროვე დასავლური პოლიტიკური აზროვნება სამართლიანი სოციალური წყობის აშენებას ცდილობს ზემოდან ქვევით, ამოსავლად იყენებს პირველ და მეორე დონეებს. ტრადიციული აზიური კულტურები მეოთხე და მესამე დონეებიდან იწყებენ და მიემართებიან ქვევიდან ზევით. კონფუციანელობა ინდივიდის სოციალიზებას ახდენს იმისთვის, რომ ინდივიდუალიზმი დაუქვემდებაროს ოჯახს. **ოჯახი ჩინური საზოგადოებისათვის ფუნდამენტური სამშენებლო ბლოკია.** უფრო მსხვილი პოლიტიკური სტრუქტურები დაბალი დონის მსგავსივე ელემენტებისაგან შედგება: გვარი წარმოადგენს ოჯახთა ოჯახს, ხოლო ჩინეთის იმპერიული სისტემა მთელი ჩინელი ხალხის საერთო ოჯახია. ამასთან, იმპერატორის მმართველობა ჩინურ ოჯახში მამის ძალაუფლების პრინციპზეა აგებული.

იმის გამო, რომ აზიური საზოგადოება მეოთხე დაონეზე იწყება და მიემართება ზევით, გარკვეული თვალსაზრისით, ჭირს პოლიტიკური სტრუქტურის ამ ტიპის განსაზღვრა, რომელსაც იგი შექმნის. ამიტომაც მეოცე ასწლეულის ბოლოს მოდერნიზებული აზიური საზოგადოებისთვის შესაძლებელი გახდა „ყოველდღიური ცხოვრების“ კონფუციანელობა განასხვაოს იმისგან, რასაც კონფუციანელი სწავლული დუ ვეინი „პოლიტიკურ კონფუციანელობას“ უწოდებდა.

ტრადიციული პოლიტიკური კონფუციანელობა გულისხმობდა იმპერიული სისტემის არსებობას მანდარინებისა და კეთილშობილი სწავლულების მიერ მწყობრად ჩამოყალიბებული იერარქიით. მისი უკუგდება და პოლიტიკური ინსტიტუტების სხვადასხვა ფორმით ჩანაცვლება შედარებით იოლად იყო შესაძლებელი ისე, რომ საზოგადოებაში თანხმობა არ დარღვეულიყო. ამიტომაც აზიური ალტერნატივის რომელიმე კონკრეტულ ინსტიტუტთან იდენტიფიცირება არასწორია, ვთქვათ, როგორცაა პარლამენტის არსებობა, ან ინდივიდის ცალკეულ უფლებათა დაუცველობა. **აზიური ალტერნატივის არსი ასეთია: ეს საზოგადოება დაფუძნებულია არა ინდივიდის უფლებებზე, არამედ ღრმად დამკვიდრებულ მორალურ კოდექსზე, რომელიც მყარ საძირკველს უქმნის ძლიერ სოციალურ სტრუქტურებსა და საზოგადოებრივ ცხოვრებას.** ასეთ საზოგადოებას არსებობა შეუძლია როგორც დემოკრატიულ სახელმწიფოში (იაპონია), ისე ნახევარდემოკრატიულ ქვეყანაში (სინგაპური). თუმცა, როგორც ჩანს, ზოგი ინსტიტუტი შეუთავსებელია სოციალური წყობის ასეთ ტიპთან (მაგ, კომუნიზმი). მისთვის ნიშანდობლივია არა ინსტიტუტები, არამედ სოციალური სტრუქტურები და მათი კულტურული შეთანხმებულობა.

სამოქალაქო საზოგადოება აზიასა და ამერიკაში

თუ ვაღიარებთ აზიური ალტერნატივის არაინსტიტუციონალური ფორმით არსებობას, გასაგები გახდება, რომ მასთან არის დაკავშირებული მომავალი მსოფლიო დემოკრატიისთვის საინტერესო შედეგები.

ჯერ ერთი, საეჭვოა, რომ კონფუციანელობა თუ ტრადიციული აზიური კულტურის რომელიმე სხვა ელემენტი სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდეს აზიაში ლიბერალური დემოკრატიის დამკვიდრებისათვის. ამ საფრთხის არსებობას ადასტურებენ ისეთი აზიელები, როგორცაა სინგაპურის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ლი კვანიუ და დასავლეთის ისეთი წარმომადგენლები, როგორცაა სამუელ ჰანთინგტონი. ლი კვანიუს თვალსაზრისით, ეს არის მიზანმიმართული ანგარებიანი დამახინჯება კონფუციანელობისა, რომელსაც იგი აიგივებს ისეთ პოლიტიკურ წყობასთან, როგორც უნდოდა დაემყარებინა სინგაპურში ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროს. სხვა აზიური საზოგადოებები - ტაივანი, კორეა - ბოლო ათწლეულის განმავლობაში ისე დაადგნენ დასავლური დემოკრატიის გზას, რომ საკუთარი კონფუციური ხასიათი შეინარჩუნეს. იაპონიის ნახევრადკონფუციური კულტურა სავსებით შეთავსებადი აღმოჩნდა დემოკრატიულ ინსტიტუტებთან. 1993 წლის ივლისში იაპონიაში დაიწყო პოლიტიკური ამბოხი, როცა ლიბერალურ-დემოკრატიულმა პარტიამ ძალაუფლება დაკარგა. მაგრამ ამან

სათავე დაუდო იმ პროცესს, რომელიც დროთა განმავლობაში იაპონიას უფრო ამერიკული ყაიდის დემოკრატიულ სახელმწიფოდ გარდაქმნის, ვიდრე მანამდე იყო.

ბოლო წლებში სინგაპურისა და მალაიზიის ოფიციალურმა პირებმა თუ ინტელექტუალებმა აგრესიული ანტიდასავლური და აშკარა ანტიდემოკრატიული რიტორიკით გამოიჩინეს თავი. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვით ლის და მალაიზიის პრემიერ-მინისტრ დატუკ სერი მახატირს. მომავალში, როცა მათ ლიდერთა ახალი თაობა შეცვლის, ექვგარეშეა, რომ ეს საზოგადოებებიც **დემოკრატიის იაპონია-ტაივან-კორეის ვერსიის** მიმართულებით დაიწყებენ მოძრაობას.

ჰანთინგტონის შეცდომა უფრო კონცეპტუალურია. მან არასწორად განსაზღვრა კონფუციანობის არსი, როცა მას პოლიტიკური კონფუციანობა უწოდა. სინამდვილეში კონფუციანელობიდან შენარჩუნებულია მხოლოდ მოძღვრება ოჯახისა და სხვა უფრო დაბალი დონის სოციალური ურთიერთობების შესახებ. თეორიულად არ არსებობს რაიმე მიზეზი, რაც კონფუციანური სოციალური სტრუქტურებისა და დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტების ნორმალურ თანაარსებობას შეუშლიდა ხელს. პირიქით, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ დემოკრატიული ინსტიტუტები გაძლიერდნენ კიდევ კონფუციანელობასთან ერთობლიობით.

მეორე მხრივ, იმ ფაქტის აღიარება, რომ კონფუციანელობა შეთავსებადია თანამედროვე დემოკრატიასთან, სულაც არ არის აზიაში დემოკრატიის აუცილებლად დამკვიდრების გარანტი. **სამომავლოდ აზიაში დემოკრატიული ინსტიტუტების პრესტიჟის განმსაზღვრელი იქნება არა იმდენად დასავლური ინსტიტუტების ეფექტურობა, რამდენადაც ის, თუ როგორ მიიღებენ დასავლური საზოგადოებისა და კულტურის პრობლემებს აზიელები.** სხვათაშორის, დემოკრატიის პრესტიჟი საგრძნობლად გაფერმკრთალდა ბოლო ოცი წლის განმავლობაში. ამის პირველმიზეზი შეიძლება იყოს თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებები, რომელთა დახმარებითაც აზიის მოსახლეობა საფუძვლიანად გაეცნო ამერიკაში მიმდინარე მოვლენებს. მეორე და უფრო მთავარი მიზეზი კი ის გახლავთ, რომ თვით ამერიკაში გაღმავდა სოციალური პრობლემები (ძალადობრივი დანაშაული, ნარკოტიკები, რასობრივი დაძაბულობა, სიღარიბე, არასრული ოჯახები და ა.შ.) სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამერიკელები ერთგვარი ქედმაღლობით უცქერიან აზიელებს, როცა პირველ და მეორე დონეების მიხედვით აკეთებენ შედარებას. სამაგიეროდ, **აზიელები სულ უფრო ხშირად მიდიან იმ დასკვნამდე, რომ მესამე და მეოთხე დონეზე მათ საზოგადოებას გარკვეული საკვანძო უპირატესობა აქვს**

ამერიკასთან შედარებით. ამერიკის აზიელი კრიტიკოსები, კერძოდ ლი კვანიუ მიიჩნევს, რომ პირველი და მეორე დონე მჭიდრო კავშირშია მესამე და მეოთხე დონესთან, ანუ უფლებებზე დაფუძნებული ლიბერალური ინსტიტუტები გამანადგურებლად იმოქმედებს სამოქალაქო საზოგადოებასა და კულტურაზე, ხოლო დემოკრატია გარდუვალად გამოიწვევს სოციალური სტრუქტურების რღვევას. აქედან გამომდინარე აზიაში ლიბერალური დემოკრატიის ბედი, ძირითადად იმაზე იქნება დამოკიდებული, როგორი წარმატებით გაართმევს თავს ამერიკა ურჩი სოციო-კულტურული პრობლემების გადაჭრას. რაც შეეხება შედარებით წვრილ ინსტიტუციონალურ პრობლემებს, მათ გადამწყვეტი მნიშვნელობა არ მიენიჭება.

ერთგვარი კავშირი მართლაც არსებობს, ერთი მხრივ, პირველ და მეორე დონეებს შორის, მეორე მხრივ კი, მესამე და მეოთხე დონეებს შორის. ეს კავშირი, სინამდვილეში, ბევრად უფრო დახლართულია, ვიდრე ლის და მის თანამოაზრეებს ეჩვანებათ. **უფლებებზე დაფუძნებული ლიბერალიზმი სავსებით შეთავსებადია ძლიერ საზოგადოებრივ სოციალურ სტრუქტურებსა და დისციპლინირებულ კულტურულ ჩვევებთან.** დაბეჯითებით შეიძლება ერთი რამის თქმა: თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში სამოქალაქო საზოგადოებისა და კულტურის ჭეშმარიტი მნიშვნელობა სწორედ ის არის, რომ მას აქვს უნარი, ტრადიციული ლიბერალური დოქტრინისთვის (როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური) დამახასიათებელი გამთიშველი ინდივიდუალიზმი გააწონასწოროს ან შეანელოს. ამერიკული საზოგადოების ცნობილი მკვლევრები ტოკვილი, ვებერი და სხვები აღნიშნავდნენ, რომ ამერიკა არასოდეს ყოფილა დაცალკევებულ ინდივიდთა „ქვიშის გორა“, ვინაიდან სხვა ფაქტორები (მაგ. ამერიკის პროტესტანტიზმის სექტანტური ხასიათი) თამაშობდნენ გამაწონასწორებელ როლს მათი ჯგუფებად დარაზმვის საქმეში. მხოლოდ ბოლო 50 წლის განმავლობაში დაირღვა ის წონასწორობა ინდივიდუალიზმის სასარგებლოდ. ამერიკული სისტემის ამ შედეგამდე მისვლა არ არის შემთხვევითი, მაგრამ იგი არც გარდუვალია. ის ნამდვილად ვერ ჩაითვლება „დემოკრატიის“ როგორც ასეთის აუცილებელ შედეგად. კონსტიტუციის მკვლევარი მერი ენ გლენდონ შენიშნავს, რომ ამერიკას აქვს საკუთარი „უფლებების ენა“, რომელიც მკვეთრად განსხვავდება ევროპული დემოკრატიებისგან. დასანანია, რომ ეს ამერიკული ლიბერალური დიალექტი ბევრი აზიელის აზროვნებაში ასოცირდება დემოკრატიასთან *per se*.

ამგვარად, **ლიბერალური დემოკრატიის ბედის განსაზღვრისთვის ინსტიტუტების დონეზე არ შეიქმნება წინააღმდეგობა, აქ გარკვეული თვალსაზრისით მთელ მსოფლიოშია მიღწეული კონსენსუსი.** ჭეშმარიტი ბრძოლა

გაიმართება სამოქალაქო საზოგადოებისა და კულტურის დონეებზე. საკუთარი ავტორიტარული წარსულიდან აღმოცენებული ახალი დემოკრატიული სახელმწიფოებისთვის განსაკუთრებით კრიტიკული მნიშვნელობა აქვს ამ სფეროებს. თანამედროვე ამერიკაში მიმდინარე „კულტურული ომები“ იმის მანიშნებელია, რომ ჯანსაღი და დინამიური სამოქალაქო საზოგადოების შენარჩუნება პრობლემად რჩება თვით უძველესი და ერთი შეხედვით, სტაბილური, დემოკრატიული ქვეყნებისთვისაც.